დანართი №2

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **დავით კუპატაძე**

წევრი: **ანა მექანარიშვილი**

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: **417878130**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება /კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის შესაბამისი განაცხადის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ, 2026 წლის 18 მარტს გამოცემული MES 2 26 0000330904 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „სტომატოლოგიის ასისტირება“ საფუძველზე კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სტომატოლოგის ასისტენტი“ დამატების საკითხის შესწავლას. წარმოების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, დაწესებულების განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტები ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა, შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა დაწესებულებასთან.

ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 3 აპრილს, დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის განრიგის დაცვით. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩატარებული იქნა ინტერვიუები პერსონალთან, დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შემოწმებული იქნა კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტაცია და მათი პრაქტიკაში განხორციელების მტკიცებულებები, ასევე, გადამოწმდა პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ექსპერტები ვიზიტის ფარგლებში გაესაუბრნენ პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელს და განმახორციელებლებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. შეაფასეს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები, დაათვალიერეს მათი ფაქტობრივი მდგომარეობა და ფლობის დოკუმენტაცია. განახორციელეს ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზე და გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, ადმინისტრაციამ უზრუნველყო მოთხოვნილი დოკუმენტების ეტაპობრივი წარმოდგენა და დასაზუსტებელი საკითხების განმარტება.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო პრაქტიკა არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
2) საგანმანათლებლო პროგრამა **,სტომატოლოგის ასისტენტი - Dental Assistant**	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.2.1.3 - პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამას დაემატა ახალი პრაქტიკული კომპონენტის გავლის ობიექტები, ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: კოლეჯმა უზრუნველყოს ახალი ინსტუქტორების გადამზადება სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების უზრუნველყოფის საკითხებში.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	სტომატოლოგის ასისტენტი - Dental Assistant
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სტომატოლოგიის ასისტირებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0911
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	26/02/2026 შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი დირექტორის ბრძანება № 00003788
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი გორი, ცხინვალის N9
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	82
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	112

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სტომატოლოგის ასისტენტი" შემუშავებულია, დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 8 მაისის N4606 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 13/05/2025, N7016) დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“-ს შესაბამისად, რომელიც არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ინიცირების, პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების შეტანის, შეფასების, განვითარების და პროგრამის გაუქმების პროცედურებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას, კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 03 ოქტომბრის N14415 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც განიხილა პროგრამის ,,სტომატოლოგის ასისტენტი" კავშირი დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ მიზნებთან. კოლეჯის მისიაა „განახორციელოს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, მრავალფეროვანი პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

პროგრამები, რომელთა განხორციელებით მოამზადებს კვალიფიციურ სპეციალისტებს და წვლილს შეიტანს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში; შექმნას უსაფრთხო და ჯანსაღი სასწავლო გარემო, სადაც თანასწორობის პრინციპების დაცვით თითოეული პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ისწავლის განსხვავებული აზრის პატივისცემას". მისია დაფუძნებულია თანამედროვე საგანმანათლებლო და პროფესიული განვითარების პრინციპებზე, რომლებიც სრულად შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს. სტრატეგიულ გეგმაში, სტარატეგიული მიზანი N2-ის სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს „შრომის ბაზრისა და საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინებით ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა". აღნიშნულიდან გამომდინარე, „სტომატოლოგის ასისტენტის" პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის დამატებაზე გადაწყვეტილების მიღება გამომდინარეობს კოლეჯის მისიიდან და სტრატეგიული მიზნებიდან. გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, კერძოდ, კოლეჯი 2022 წლიდან ახორციელებს „დენტალური საქმის ასისტირება" (სტომატოლოგის ასისტენტის) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას. 2025 წლის კურსდამთავრებულთა კვლევამ აჩვენა, რომ კურსდამთავრებულთა 70% მეტი დასაქმებულია სპეციალობის შესაბამისად. კოლეჯის სამოქმედო არეალში არსებობს მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/კომპეტენციებზე, რასაც ადასტურებდა 2022 წელს კოლეჯის მიერ ჩატარებული მოკვლევები. როგორც ცნობილია, სტანდარტის ცვლილებამ განაპირობა კვალიფიკაციის შეცვლა. შესაბამისად კოლეჯი მიზანშეწონილად მიიჩნევს დაიმატოს „სტომატოლოგის ასისტენტის" პროფესილი საგანამანთლებლო პროგრამა ავტორიზაციის გზით.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სტომატოლოგის ასისტენტი" შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „სტომატოლოგიის ასისტირება" საფუძველზე, რითაც განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - სრული ზოგადი განათლება ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესი რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 01 ივლისის N64 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 13/05/2025, N 7014) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების" შესაბამისად, რომელიც დაფუძნებულია შესაბამის საგანმანათლებლო სტანდარტზე და განსაზღვრავს აპლიკანტთა მიღების სამართლებრივ და პროცედურულ საფუძვლებს.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

3. საგანმანათლებლო პროგრამაზე შემსვლელ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 07 ივნისის N5550 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით“. შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები: კოლეჯის მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსი. ზღვრული რაოდენობის დასაბუთებისას გათვალისწინებული უნდა იქნას სასწავლო გარემოს (A, B და C) შესაძლებლობები/გამტარუნარიანობა ყველა პროგრამის მიზნებისთვის, რომლისთვისაც ის გამოიყენება. აღნიშნული მეთოდოლოგიით, დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „სტომატოლოგის ასისტენტი“ პროფესიული სტუდენტების მიღებას ახორციელებს შემდეგი სახით: პირველი სასწავლო წელი - 20 პროფესიული სტუდენტი; მეორე სასწავლო წელი - 20 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტებთან წამოადგინა როგორც პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის, ასევე აუდიტორიების გამტარიანობის დოკუმენტები, სადაც მოცემულია პროგრამაზე კვირის დღეებზე განაწილებული დატვირთვა, აუდიტორიების ნომრებისა მიხედვით. აღნიშნულის გათვალისწინებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სტომატოლოგის ასისტენტი“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 40 პროფესიული სტუდენტი 2 წლის განმავლობაში მიღების გათვალისწინებით, წელიწადში 20 პროფესიული სტუდენტი,

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

4. დაწესებულება აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და პროგრამით გათვალისწინებული როგორც მატერიალური, ისე საგანმანათლებლო რესურსებით, რაც უზრუნველყოფს სწავლების მაღალ ხარისხს და ეფექტიანობას. კოლეჯის ბიბლიოთეკას გააჩნია პროფესიული პროგრამით გათვალისწინებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც მითითებულია პროგრამის დანართში. პროფესიული სტუდენტებისათვის შექმნილია google classroom პლატფორმა, სადაც ხელმისაწვდომია ელექტრონული სასწავლო რესურსი ყველა პროფესიული სტუდენტისათვის და პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის.

   ექსპერტთა მიერ, შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლით და ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ დაწესებულება სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული როგორც მატერიალური, ასევე საგანმანათლებლო რესურსების სრულ შესაბამისობას საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტთან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სტომატოლოგის ასისტენტი“ არჩევით მოდულებს არ ითვალისწინებს.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განისაზღვრება კოლეკის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიით“, რომლის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის დირექტორი. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სტომატოლოგის ასისტენტი“ დამტკიცებულია, კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 26 თებერვლის N3788 ბრძანებით.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „სტომატოლოგის ასისტენტი” შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სტომატოლოგის ასისტენტი“ ეფუძნება მპროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს „სტომატოლოგიის ასისტირება“/Dental Assistance. პროგრამა შემუშავებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის 2023 წლის 8 მაისის N4606 (ბოლო ცვლილება 13/05/2025, N7016) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ და პროფესიული საგანამნათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის შემადგენელი ნაწილებია: პროგრამის ძირითადი დოკუმენტი; პროგრამის მოდულები (ზოგადი/პროფესიული); სასწავლო გეგმა; ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ; მატერიალური რესურსი - აღჭურვილობა; სავალდებულო ლიტერატურა/სასწავლო რესურსი; მასალა/ნედლეული; პროგრამის ბიუჯეტი; სხვა სავალდებულო დანართი არსებობის შემთხვევაში. პროგრამის ძირითადი დოკუმენტით განისაზღვრება პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდები, შეფასების მიდგომები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

პირთა სასწავლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სხვა ინფორმაცია - საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებისა და კოლეჯის სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით. პროგრამის შემუშავება განხორციელდა კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 03 ოქტომბრის N14415 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტებული იყო შესაბამისი დარგის სპეციალისტებითა და ადმინისტრაციული პერსონალით. წარმოდგენილ დოკუმენტებსა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, ექსპერტების შეფასებით, პროგრამა შეესაბამება მის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების მისია;
2. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება;
5. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
6. საგანმანათლებლო პროგრამა „სტომატოლოგის ასისტენტი“;
7. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „სტომატოლოგის ასისტენტი“ გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური-ტექნიკური აღჭურვილობით/რესურსით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში 3 მოდულზე (პირის ღრუს ანატომია და ფიზიოლოგია, შრომის უსაფრთხოება და ჰიგიენა, პროფესიული და კარიერული განვითარება) მითითებულია დისტანციური სწავლების შესაძლებლობა, დაწესებულების წარმომადგენლები განმარტავენ, რომ სწავლება სრულად განხორციელდება დაწესებულების ბაზაზე. კერძოდ, კოლეჯში პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია ერთი სასწავლო A გარემო, ერთი A/C გარემო, B გარემო და C გარემო სიმულაციური პრაქტიკული მუშაობისათვის.

A გარემო (ოთახი 207) აღჭურვილია: 24 პროფესიული სტუდენტისთვის გამოყოფილი სამუშაო მაგიდითა და სკამით, 1 პროფესიული მსაწავლებლის მაგიდით და სკამით, 1 პერსონალური კომპიუტერით (მასწავლებლისათვის) და დაფით.

B გარემო (ოთახი 109) აღჭურვილია: 21 პერსონალური კომპიუტერით, 1 პროფესიული მსაწავლებლის მაგიდით და სკამით, 1. პერსონალური კომპიუტერით (მასწავლებლისათვის), პროექტორით და დაფით.

A/C გარემო (ოთახი 103) აღჭურვილია პირველადი გადაუდებელი დახმარების მოდულის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსით.

C სიმულაციური გარემო აღჭურვილია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული მატერიალური რესურსით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

პრაქტიკის ობიექტზე ხელშეკრულების ფარგლებში უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით სარგებლობა პროფესიული სტუდენთათვის. კოლეჯს გაფორმებული აქვს კოოპერაციული სწავლების ხელშეკრულებები შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან:

- პს ბი.ელ.დენტი - 5 პროფესიული სტუდენზე;
- შპს დენთალ ლენდი - 5 პროფესიული სტუდენზე;
- ი/მ ლალი ველიჯანაშვილი - 10 პროფესიული სტუდენზე;
- ი/მ ემეს დენტი - 2 პროფესიული სტუდენზე;
- ი/მ ნინო მაისურაძე - 8 პროფესიული სტუდენზე;
- ი/მ სტომატოლოგიური კლინიკა დენტალ ჰაუსი - 4 პროფესიული სტუდენზე;
- ი/მ ხვთისო გიორგიშვილი - 5 პროფესიული სტუდენზე;
- სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი - 20 პროფესიული სტუდენზე;
- შპს მარიმედი - 5 პროფესიული სტუდენზე;
- შპს ელიტ მედ გრუპი - 5 პროფესიული სტუდენზე;

პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის (თერაპევტი სტომატოლოგის ასისტირება; ორთოპედი სტომატოლოგის ასისტირება; ორთოდონტი სტომატოლოგის ასისტირება; ქირურგი სტომატოლოგის ასისტირება; სტომატოლოგიური რადიოგრაფია) კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კოოპერაციული სწავლების ხელშეკრულებები მიზნად ისახავს ურთიერთთანამშრომლობის გზით, პროფესიული პროგრამის „სტომატოლოგის ასისტენტი“ პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულების განხორციელებას პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე. ექსპერტთა მიერ კოლეჯისა და პრაქტიკის ობიექტების (შპს დენთალ ლენდი, ი/მ ლალი ველიჯანაშვილი, დენტალ ჰაუსი, შპს მარიმედი -(დისტანციურადით)) გარემოს დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯამურად 40 პროფესიული სტუდენტი, წელიწადში ერთ მიღებაზე - 20 პროფესიული სტუდენტი).

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სტომატოლოგის ასისტენტი“ გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები 21 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, მათ შორის 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი არის ზოგადი მოდულების განმახორციელებელი, ხოლო 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებს დარგობრივ მოდულებს. ასევე შეთანხმება გაფორმრბულია 32 ინსტრუქტორთან. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, დაწესებულებას მოდულების მიხედვით ჰყავს 2 განმახორციელებელი მასწავლებელი, რომლებსაც შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში პროგრამის განხორციელების პროცესში ერთმანეთის ჩანაცვლება. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

3. ვიზიტის ფარგლებში განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრებით და მათი პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კვალიფიკაცია, პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულებისათვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სტომატოლოგის ასისტენტი“, კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 01 ივლისის N63 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 16/05/2023, N4897) დამტკიცებული „მარეგულირებელი დებულების“ მესამე თავის, 25 მუხლით განსზაღვრული მოთხოვნების შესაბამისად, შერჩეულია პროფესიული განათლების მასწავლებლები, თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, შესაბამისად პირად საქმეში განთავსებულია დიპლომები ან/და სერთიფიკატები, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები-ცნობები. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მათთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები (საათების მითითებით), რომლებსაც განახორციელებს პროფესიული მასწავლებელი. დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა არ სცდება კვირეულ 40 საათს. ექსპერტთა შეფასებით პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუები ინსტრუქტორებთან, რის შედეგად დადასტურდა, რომ მათ ნაწილს აქვთ პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია და ფლობენ სათანადო გამოცდილებას, ხოლო **იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამას დაემატა ახალი პრაქტიკული კომპონენტის გავლის ობიექტები, ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: კოლეჯმა უზრუნველყოს ახალი ინსტუქტორების გადამზადება სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების უზრუნველყოფის საკითხებში.**

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

4. დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 28 დეკემბრის N64 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 29/12/2025, N00028339) დამტკიცებული „შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტის მიხედვით, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს მინიმუმ უმაღლესი პროფესიული განათლების კვალიფიკაციის ან მასთან გათანაბრებული კვალიფიკაციის მქონე, შესაბამისი დარგის სპეციალისტი. კოლეჯის „მარეგულირებელი დებულების“ მესამე თავის 24-ე მუხლის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია: იყოს ჩართული პროგრამის შემუშავების პროცესში და გაუწიოს კოორდინირება; მოახდინოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა საქმიანობის კონსულტირება/ ორგანიზება; გაწიოს დახმარება სასწავლო გეგმების /ინდგეგმების შედგენაში; იყოს ჩართული მონიტორინგის პროცესში პროგრამების - მოდულების კალენდარული გეგმების/ შეფასების ინსტუმენტების დროს; საჭიროებისამებრ ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის დაცვით; მუდმივად იზრუნოს პროგრამის განვითარებაზე. ექსპერტთა მიერ, პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავება-განხორციელებაში, ასევე არის დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სტომატოლოგის ასისტენტი” საჭირო საგანმანათლებლო რესურსები დაწესებულებაში ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების საკითხები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 29 მაისის N5201 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკის დებულება და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

სარგებლობის წესის“ შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება, შერჩევითი პრინციპით მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსის შემოწმება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. შედეგად დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული რესურსი ხელმისაწვდომია მატერიალური ან/და ელექტრონული სახით. ელექტრონული სასწავლო რესურსი განთავსებულია google classroom პლათფორმაზე და დაწესებულების ვებ-გვერდზე https://collegeimedi.edu.ge/library/ebooks, რომელიც ხელმისაწვდომია კოლეჯის ყველა პროფესიული სტუდენტისათვის. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ააიპ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან. ასევე პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი, კატალოგთან ერთად, ელექტრონული სახით ხელმისაწვდომია A, B A/C და C სივრცეებში მასწავლებლის კომპიუტერებში და სურვილის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს თავისუფლად შეუძლია მისი ასლის საკუთარ ელ.ფოსტაზე გაგზავნა, ან ნაბეჭდი ფორმით მოკლე ამონარიდის მიღება. სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი, სადაც განთავსებულია სამი პერსონალური კომპიუტერი პროფესიული სტუდენტისათვის. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. ელექტრონული სასწავლო რესურსი დატანილა მყარ დისკზე, ასევე - მომხმარებლის სურვილის შესაბამისად, ბიბლიოთეკაში არსებული კომპიუტერებიდან ხდება მასალების მიწოდება (ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა). ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია სამკითხველოში თვალსაჩინო ადგილზე.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

6. დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი ადაპტირებული გარემოს შექმნას, რათა მათ სხვა სტუდენტებთან თანაბარ პირობებში შეძლონ სრულფასოვანი განათლების მიღება, რაც ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების ინტეგრაციას საზოგადოებაში. სსსმ/შშმ პირებისათვის ხელმისაწვდომია, როგორც პროგრამით გათვალისწინებულ, ისე ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსები. დაწესებულებაში არსებული სწავლების მეთოდები, მასალები და ტექნოლოგიები სრულად ადაპტირებულია სტუდენტთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისად. დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება” არეგულირებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურებს, სსსმ/შშმ სტუდენტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

სასწავლო პროცესში ჩართვისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სსსმ პირების სასწავლო პროცესში ჩართვის უზრუნველყოფის მექანიზმებს. დოკუმენტის თანახმად, კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პროფესიული სტუდენტების/მსმენელების შენობაში თავისუფალ გადაადგილებას. კოლეჯის შენობაში შემოსვლა შესაძლებელია პანდუსით, ასევე კოლეჯის მფლობელობაში არსებულ სართულებზე მოხვედრა შესაძლებელია ლიფტით. სსსმ პირებს თავისუფლად შეუძლიათ მივიდნენ აუდიტორიებში. ხელმისაწვდომია ყველა სახის სერვისი (სველი წერტილებით სარგებლობა, ბიბლიოთეკით სარგებლობა, კომპიუტერით სარგებლობა და სხვ.), რაც საჭიროა მათთვის შესაბამისი განათლების მისაღებად. პეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში სრულყოფილი ინტეგრაციის ხელშეწყობა ხორციელდება ინსტიტუციური მხარდაჭერის მექანიზმების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესში ჩართულია ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სტუდენტის ინდივიდუალურ მხარდაჭერას, ასევე სასწავლო პროცესის ადაპტირებას მისი საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სტომატოლოგის ასისტენტი“ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ ვაუჩერული დაფინანსების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი მოიცავს, ყველა აუცილებელ ხარჯს, მათ შორის შრომის ანაზღაურებას, საქონელი და მომსახურების ხარჯს, მოდულის განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებების ხარჯს და სხვა ხარჯებს. საპროგნოზო ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას, რომლის რენტაბელობის ზღვარი 15 პროფესიული სტუდენტია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. მარეგულირებელი დებულება;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
4. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
5. პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმე;
6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

7. ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი;
8. პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
9. ვებ გვერდი;
10. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
11. გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა, დაწესებულების 2022 წლის 24 მაისის, დირექტორის N4009 (ბოლო ცვლილება 13/05/2025, №7017) ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები", რომლის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ქნის კოლეჯის ერთიან პოლიტიკას, რათა ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე ორიენტირებულ სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, სასწავლო საგანმანათლებლო გარემოს დაგეგმვას, შეფასებასა და მუდმივ განვითარებას. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფა დასახული მიზნების მისაღწევად თანამშრომლობს კოლეჯის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან/თანამდებობის პირთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან, კურსდამთავრებულებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან/დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

მხარეებთან. კოლეჯის ხარისხის მენეჯერი მიღებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე შემდგომი განვითარებისთვის ახორციელებს საჭირო რეკომენდაციების იდენტიფიცირებას.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 13 მაისის N7016 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 8/05/2023 N4606) დამტკიცებული შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ მე-7 და მე-8 მუხლები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებისა და მაში ცვლილებებს განსაზღვრავს, ხოლო მე-9 მუხლი ეხება მის შეფასება/განვითარებას. დოკუმენტის შესაბამისად, პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება შემდეგ შემთხვევებში: პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის ცვლილების შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე. არსებული პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს: პროფესიული სტანდარტის მოქმედების ვადის ამოწურვა; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილება პროფესიული სტანდარტის გაუქმების შესახებ; ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადასვლა; პროგრამაზე აპლიკანტთა დაბალი მომართვიანობა; პროფესიული სტუდენტების დასაქმების დაბალი მაჩვენებელი და სხვა. კოლეჯს, პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით, შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
3. დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადი.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სტომატოლოგის ასისტენტი“ სასწავლო გეგმა შედგენილია ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის. სწავლება განხორციელდება შესაბამისი სასწავლო გეგმით, რომელშიც გაწერილია მოდულების თანმიმდევრობა კვირების მიხედვით და ყოველ კვირაში შესასრულებელი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა. პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. მეცადინეობის განრიგები შემუშავდება სასწავლო გეგმების შესაბამისად, პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იქნება და განთავსდება თვალსაჩინო ადგილას. ექსპერტთა შეფასებით პროგრამის განხორციელება დაგეგმილია სასწავლო გეგმების შესაბამისად.

   ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტურ ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების სრული გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს ყველა შემხვედრ საჭიროებაზე. სასწავლო პროცესი აგებულია შემდეგი პრინციპების საფუძველზე: პროფესიულ სტუდენტებს დროულად მიეწოდებათ სრულყოფილი ინფორმაცია სასწავლო პროცესის შესახებ - სასწავლო კალენდრისა და მნიშვნელოვანი თარიღების წინასწარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

დაგეგმვის შესახებ, ელექტრონული საკომუნიკაციო არხების გამოყენების (მობილური აპლიკაცია, ელფოსტა, სოციალური გვერდები facebook) და ინდივიდუალური საინფორმაციო შეხვედრების მეშვეობით. პროფესიული სტუდენტებისთვის განხორციელდება მოქნილი სასწავლო ცხრილის შეთავაზება და სასწავლო დატვირთვები სასწავლო გეგმის შესაბამისად გადანაწილებულია გონივრულლად მოდულებს შორის. სიმულაციური გარემოს აქტიური გამოყენება პროფესიული უნარების განვითარებისთვის. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ადაპტირებული სასწავლო გარემო, დამატებითი კონსულტაციები, აკადემიური სირთულეების მქონე სტუდენტებისთვის. ექსპერტებთან გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად გაითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინტერესებს.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

3. დაწესებულებაში სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლების თანამედროვე მიდგომებსა და ინოვაციურ მეთოდებს დარგის მიმართულებით, რომელიც მაქსიმალურადაა მორგებული თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს. კოლეჯში არსებობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხროციელებისათვის საჭირო შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი გარემო და შესაბამისი დარგის ლიტერატურა. სასწავლო სივრცეები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, რაც დადასტურებულია მატერიალური რესურსების ბაზით. ექსპერტთა შეფასებით სასწავლო პროცესის წარმართვა დაგეგმილია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

4. დაწესებულება სრულად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს ინკლუზიურ და ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო გარემოს. დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება“ ითვალისწინებს, ინდივიუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება შესაძლოა განისაზღვროს მაშინ, როდესაც: სსსმ პირი სწავლობს საგანმანათლებლო პროგრამზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მობილობით გადმოსულია პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებული აქვს კოლეჯის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან ან პროფესიული სტუდენტი საკუთარი განცხადებით ითხოვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას, რადგან ვერ აღწევს სწავლის შედეგებს; პირი რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

მეტხანს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას. დოკუმენტის შესწავლით და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე, ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

5. პროფესიული პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულება თანამშრომლობს პრაქტიკის ობიექტთან. კოლეჯს გაფორმებული აქვს 10 ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტებთან:
   - შპს ბი.ელ.დენტი;
   - შპს დენთალ ლენდი;
   - ი/მ ლალი ველიჯანაშვილი;
   - ი/მ ინდივიდუალური მეწარმე ემეს დენტი;
   - ი/მ ნინო მაისურაძე;
   - ი/მ ინდივიდუალური მეწარმე სტომატოლოგიური კლინიკა დენტალ ჰაუსი;
   - ი/მ ხვთისო გიორგიშვილი;
   - სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი;
   - შპს მარიმედი;
   - შპს ელიტ მედ გრუპი.

ხელშეკრულებები ითვალისწინებს მოდულის/სწავლის შედეგის დასახელებას, კრედიტებისა და საათების მითითებით, მატერიალური რესურსის ჩამონათვალს, რომლის პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტი.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯამში 40 პროფესიული სტუდენტი, ორი მიღების შემთხვევაში 20-20 პროფესიული სტუდენტი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სტომატოლოგის ასისტენტი“ დირექტორის 2026 წლის 25 თებერვლის N3659 ბრძანებით დამტკიცებულია „შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სტომატოლოგის ასისტენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უსაფრთხოდ მიმდინარეობის გეგმა“ რომლის საფუძველს წარმოადგენს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის 2026 წლის 25 თებერვლის N3644 სამსახურეობრივი ბარათი. დოკუმენტის თანახმად: პროფესიული სტუდენტები უნდა გაეცნონ იმ ნივთიერებების სპეციფიკაციას და შემადგენლობებს რომლის გამოყენებაც დასჭირდებთ პრაქტიკული მეცადინეობების დროს, ასევე უნდა გაეცნონ საჭირო ინსტრუმენტების (სკალპელის თავი, ზონდი, . .) ექსპლუატაციის წესებს; პროფესიული სტუდენტები პრაქტიკულ სწავლებას გაივლიან სტომატოლოგიური კლინიკების ბაზაზე. პრაქტიკის ობიექტზე ვიზიტისას პროფესიული სტუდენტები უნდა გაეცნონ კლინიკის შინაგანაწესს, ქცევის წესებს და უსაფრთხოების ნორმებს სპეციფიკის მიხედვით; პრაქტიკული სწავლება უნდა განხორციელდეს პრაქტიკის ინსტრუქტორის უშუალო ზედამხედველობით. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე C სასაწავლო გარემოში გამოკრულია უსაფრთხოების პლაკატები და განთავსებულია ნარჩენების (ინფექციური/არასახიფათო) შესაგროვებელი ურნები.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ბრძანება პროგრამის დამტკიცების თაობაზე;
2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება;
3. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
4. გასაუბრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 01 ივლისის N64 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2025 წლის 13 მაისი, N7014) დამტკიცებული „შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების“ 47-ე და 48-ე მუხლები განსაზღვრავს შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიეტურობას. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი/პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჯგუფი/პროგრამის პარტნიორი კომპანიის ინსტრუქტორ(ებ)ი. პროგრამის ხელმძღვანელი შეფასების ინსტრუმენტს გამოყენებამდე ამოწმებს სრულად არის თუ არა შევსებული შეფასების ინსტრუმენტის ფორმა; ასევე წარმოდგენილი მიმართულება შეესაბამება თუ არა დასადასადასტურებელი სწავლის შედეგებს, შეფასების მიმართულება შესაბამისია თუ არა მოდულით განსაზღვრული ჩანაწერები, ასევე განსაზღვრულია თუ არა ყველა შედეგის დასადასტურებელი მტკიცებულებები. შეფასების მიდგომები კი ითვალისწინებს: მოდულის განმახორციელებელმა პირმა შესრულების კრიტერიუმები შეფასებამდე უნდა გააცნოს შესაფასებელ პირებს. პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულის დასრულებიდან 2 დღის ვადაში გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს პროფესიული სტუდენტ(ებ)ის სიას სწავლის შედეგის/შედეგების ვერდადასტურების/არ გამოცხადების შესახებ; პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულის დასრულებდან (განმეორებითი შეფასების გათვალისწინებით) 10 სამუშაო დღის შემდეგ სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს პროფესიული განათლების მასწავლებლის საანგარიშო ფორმას, პროფესიული სტუდენტის შედეგის დადასტურების დასწრების ტაბელს, შეფასების ინსტრუმენტს/ებს, შეფასების უწყისს.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ მე-5 მუხლი არეგულირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს. კერძოდ: ვერიფიკაცია ხორციელდება შერჩევის მექანიზმის მიხედვით. მათ შორისაა: პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ გასაჩივრებული შეფასების შედეგები; გამოკითხვის შედეგებით გამოვლენილი შეფასებასთან დაკავშირებული ფაქტორი; დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი; პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება; პროგრამაში ერთგვაროვანი შეფასების სისტემის არსებობა; საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება; მოდულის ფარგლებში მუდმივად მრავალი უარყოფითი შეფასების ფაქტის ან პირიქით, უარყოფითი შეფასების ფაქტის არარსებობა. დოკუმენტის თანახმად, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ გასაჩივრებული შეფასების ინსტრუმენტი რომელიც სავალდებულოა ვალიდაციის დადგენა განხორციელდეს გასაჩივრებიდან არა უგვიანეს 10 დღისა. ვერიფიკაციის პროცესი შესაძლებელია გაგრძელდეს ერთი დღიდან არა უმეტეს 3 დღისა.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

3. კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების“ 51-ე მუხლი ადგენს შეფასების უწყისის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, მათ შორის: სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული ჯგუფისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ. ამავე დებულების 59-ე მუხლის (საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება) თანახმად, პროფესიული სტუდენტის მიერ შექმნილი წერილობითი ნაწარმი/პროექტი/ ნებისმიერი სახის მატერიალურად შექმნილი პროდუქტი/პროცესზე დაკვირვების შეფასებისა და ზეპირი გამოკითხვის ფურცელი ინახება კოლეჯში, ხოლო დებულების 48-ე მუხლი ადგენს, რომ კოლეჯი ვალდებულია მოდულების შედეგების შეფასების მტკიცებულებები შეინახოს შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში. მტკიცებულებები უნდა ახდენდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

4. კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების“ 48-ე მუხლით რეგულირდება შეფასების მიდგომები, შეფასების გადაწყვეტილების შესახებ (სწავლის შედეგი დადასტურდა/სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა) პროფესიული განათლების მასწავლებელი შესაფასებელ პირს აცნობს ინდივიდუალურად (მეილის, სოციალური ქსელის ან სხვა საშუალებით).

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება;
2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

21.04.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: